

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაზა ხალვაშს

2014 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში დასრულდა მზადება და 3 ნოემბრიდან აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო თავისი პირველი სატელევიზიო სეზონი. შეიცვალა ლოგო და სატელევიზიო შეფუთვა. ექსპლუატაციაში შევიდა საინფორმაციოს, დილის გადაცემის, დარგობრივი და საზოგადოებრივ პოლიტიკური თოქ-შოუების განახლებული სტუდიები. სატელევიზიო ეთერში გადაიცემა 28 სატელევიზიო პროგრამა.

ახალი სეზონიდან საინფორმაციო გამოშვებები სრულ საათზე გადაიცემა. 12:00, 15:00 და 18:00 საათზე დღის გამოშვებები, 20:30 საათზე მთავარი გამოშვების ანონსი, 21:00 საათზე მთავარი საინფორმაციო გამოშვება, 00:00 საათსა და მომდევნო დილით 8:00 საათზე დაიჯესტი, ხოლო ორშაბათიდან პარასკევამდე ამბები მოკლედ 13:00, 14:00, 16:00, 17:00, 19:00 და 20:00 საათზე.

ახალი სეზონიდან ყოველდღურად ვცდილობთ შემაჯამებელი გამოშვება იყოს თემატურად მრავალფეროვანი. სიუჟეტები მზადდება თითქმის ყველა სფეროზე - პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური თემატიკა, გარემოს დაცვა, მუნიციპალიტეტებში მიმდინარე მოვლენები, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი, კულტურა.

ყველა ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახური აშუქებს დაყრდნობილია ფაქტებზე და გამყარებულია მრავალმხრივი პოზიციებით.

არხის საინფორმაციო გამოშვების გარკვეული დრო დათმობილი აქვს არამართო რეგიონში, არამედ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ყველა რეპორტაჟში წარმოჩენილია განსხვავებული პოზიციების მქონე რესპონდენტები. უცხოეთის მნიშვნელოვანი ამბების გაშუქება არხის საინფორმაციო სამსახურისთვის ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს და დათმობილი აქვს ახალი ამბების გარკვეული დრო.

თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში და ყოველ საინფორმაციო გამოშვებებში ვახერხებთ ჩავრთოთ რეპორტიორები მოვლენების ეპიცენტრიდან, როგორც ბათუმიდან, ასევე აჭარის მუნიციპალიტეტებიდან.

განსაკუთრებული ოპერატიულობით გამოირჩეოდა ბათუმის ცენტრალურ ბაზრობაზე ხანძრის გაშუქება. შეტყობინების მიღებიდან 25 წუთში აჭარის ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადასცემდა ვიდეოსიგნალს შემთხვევის ადგილიდან.

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო სამსახურმა გააშუქა ქართული დელეგაციების უცხოეთში ვიზიტები. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი იაპონიაში. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ვიზიტები აზარბაიჯანსა და უკრაინაში, ასევე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ვიზიტები თურქეთის რესპუბლიკაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი პოლონეთში.

სამწუხაროდ საერთოდ არ გაშუქდა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაარსებიდან ერთი წლისთავი (25 დეკემბერი). საკომპენსაციოდ საახალწლო გამოშვებაში მომზადდა ვრცელი სიუჟეტი მაუწყებელზე.

განსხვავებული ფორმატით გავიდა ეთერში საახალწლო საინფორმაციო გადაცემა. წამყვანი სტუდიის ნაცვლად ღია ცის ქვეშ იმყოფებოდა. იყო ჩართვები ქობულეთიდან, ბათუმიდან, მომზადდა რეპორტაჟები მაღალმთიანეთის ტრადიციებზე, შეჯამებული იყო წლის მოვლენა - რატიფიცირება. ასევე რეგიონში წლის ეკონომიკური, პოლიტიკური, სპორტული მოვლენები. შეჯამებითი სიუჟეტები

მომზადდა ჯანდაცვისა და განათლების სფეროში გახორციელებულ რეფორმეზე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგი ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. 2015 წელს ტრენინგები უფრო მეტი ინტენსივობით იგეგმება.

ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები და უახლოეს ხანში იგეგმება კორპუნქტების ამოქმედება აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში (ხელვაჩაურის გარდა).

ახალი სეზონიდან დაიწყო ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ. ესენია - „პირისპირ“ (ოთხშაბათობით) და „ფაქტორი“ (პარასკევობით).

გადაცემებში სტუმრები მიმდინარე კვირაში აქტუალური თემების მიხედვით ირჩევიან. აღსანიშნავია „ფაქტორის“ ბოლო ორი გადაცემა, რომელიც მიემდგნა იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემებსა და ე.წ. 25 -ე და 53 -ე ბატალიონებში ჩასახლებულთა სოციალურ პრობლემებს. ორივე შემთხვევაში გახორციელდა პირდაპირი სატელევიზიო ჩართვები, სადაც ათეულობით მოქალაქეს მიეცა შესაძლებლობა პირდაპირ ეთერში ესაუბრა საკუთარი პრობლემების შესახებ. სტუდიაში კი განსხვავებული პოზიციების მქონე რესპონდენტები იყვნენ მოწვეულნი.

ახალი სეზონიდან დაიწყო დამოუკიდებელი სტუდიების მიერ პროგრამების მოწოდება, ესენია - ხუთი სტუდიური (დარგობრივი) თოქ-შოუ, დილის გადაცემა და ოთხი არასტუდიური გადაცემა ეკომიგრანტების, ბათუმის ისტორიის, ფოლკლორისა და სოფლის ყოფის შესახებ.

დაიწყო ორი სატელევიზიო პროგრამა დონორის დაფინანსებით. ეს დონორი ორგანიზაციებია - გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში და გენდერული თანასწორობის კავშირი. პროექტის ღირებულებითა და ამოქმედების ვადის ხანგრძლივობით განსაკუთრებით საყურადღებოა გაეროს წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებული სატელევიზიო და რადიო პროგრამები სოფლის მეურნეობის შესახებ. 80 ათასი ლარის

ღირებულების პროექტი ითვალისწინებს 10 თვის განმავლობაში ყოველკვირეულ, 20 წუთის ხანგრძლივობის სატელევიზიო პროგრამისა და ყოველდღიურ (დღეში 5-ჯერ), 5 წუთის ხანგრძლივობის რადიო პროგრამის მომზადებას.

ახალი სეზონიდან შიდა წარმოებაშია 14 სატელევიზიო პროგრამა. ამ პროგრამებიდან ნოვაციური მიდგომით გამოირჩევა ტელესპექტაკლები. აჭარის ტელევიზიის შემოქმედებითი ჯგუფი სატელევიზიოდ ამზადებს საქართველოს რეგიონული თეატრების სპექტაკლებს. ასევე თეატრალური საზოგადოების ფინანსური მონაწილეობით მომზადდა ერთი სატელევიზიო სპექტაკლი. თეატრმცოდნეების თქმით, ესაა პირველი ქართული ტელესპექტაკლი 25-წლიანი პაუზის შემდეგ.

მაუწყებლის დაკვეთით 2014 წელს დამზადდა და საანგარიშო პერიოდში ეთერში განთავსდა ხუთი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი.

საანგარიშო პერიოდში შექმნილია 20 ათასი ლარის ღირებულების მექანიკური სატელევიზიო პროდუქცია (მხატვრული ფილმები), რომელიც განთავსდა საახალწლო ეთერში.

მომზადდა და შესაბამის ეტაპზე ეთერში განთავსდა არხის საახალწლო ანიმაციური ტიხრები. პროგრამებზე მომუშავე შემოქმედებითმა ჯგუფებმა მოამზადეს მოკლე საახალწლო მისალოცი რგოლები. დილის გადაცემამ მოამზადა საახალწლო მუსიკალური კლიპი.

აჭარის რადიო საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებას გადასცემდა დღეში 11-ჯერ, ყოველ სრულ საათზე 12:00 სთ-დან 22:00 სთმდე. მათ შორის 18:00 სთ-ზე მთავარ გამოშვებას.

რადიოს ეთერში გადაიცემა ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ - „ინდიკატორი“ და „კომპეტენტური პასუხი“, ასევე თოქ-შოუ „საზოგადოების ხმა“, რომელსაც უძღვება ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

რადიოს საეთერო ბადეშია დონორის მიერ დაფინანსებული სამი პროგრამა - „მართლმსაჯულება“, საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის ფინანსური მონაწილეობით, „პოდკასტი“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს მიერ მომზადებული საპარლამენტო საქმიანობის ანგარიში და „ფერმერის 5 წუთი“, ზემოხსენებული პროექტი გაეროს წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებული.

აჭარის რადიოში მზადდება კიდევ შვიდი პერიოდული რადიოპროგრამა.

საყურადღებოა, რომ ახალი მენეჯერის აქტიურობის შედეგად, ადამიანური რესურსის დამატების გარეშე საეთეროდ მზადდება კიდევ ექვსი პროგრამა. 2015 წლის 1 თებერვლიდან იგეგმება განახლებული პროგრამული ბადით ეთერში შესვლა.

დაბოლოს წარმოგიდგენთ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ სამუშაოებს.

1. დასრულდა სამუშაოები საინფორმაციო, დარგობრივი და დილის გადაცემების ახალი სტუდიების მოწყობაზე.
2. გეგმის მიხედვით განხორციელდა ცენტრალური სააპარატოს რეკონსტრუქცია. სარეჟისორო პულტი გატანილ იქნა სააპარატო ოთახიდან, რამაც მოგვცა შესაძლებლობა ფუნქციონალურად დაგვეტვირთა ცენტრალური სააპარატო. სამუშაოები წარმოებდა ტელევიზიის ტექნიკური პერსონალის მიერ.
3. გრძელდება ტექნიკური გადაიარაღების პროცესი: -გამოცხადდა ტენდერი თოთხმეტი ახალი ვიდეო კამერისა და საკამერო განათების კომპლექტის შესაძენად. - შეძენილია ახალი სატელევიზიო ლოგო-გენერატორი.
4. მიმდინარეობს ტელევიზიის შენობის შიგა სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
5. მიმდინარეობს მოლაპარაკება კომპანია TurkSat-თან სატელევიზიო სიგნალის მიწოდების დივერსიფიკაციისა და პირდაპირი ჩართვების მომსახურების ტარიფების შემცირების თაობაზე.

6. შექმნილი და დამონტაჟებულია ახალი მუშა სადგურები (სამონტაჟო კომპიუტერები) ტელევიზიისა და რადიოსთვის.
7. ჩატარებულია ახალი ქსელური მიერთებები.
8. უზრუნველყოფილია სერვერების (როიტერი, NAT, DHCP, Firewall, FTP, რადიო სტრიმინგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობა.
9. დასრულდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის, ჰოსტინგის, ვებ-გვერდისა და სამუშაო სადგურების მოკვლევისა და სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების სამუშაოები.
10. განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივებისა და სხვა პროგრამების ინსტალაცია.
11. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების ბრილის, გოგინაურისა და უჩამბის სატელევიზიო გადამცემ სადგურებს. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა აჭარის რადიოს ოროქეთისა(FM 106.0) და ოქროპილაურას(FM 104.5) გადმცემ სადგურებს.
12. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მერისის, ცხმორისისა და ზედა ბზუბზუს სატელევიზიო გადამცემ სადგურებს. ელ.ენერჯის აღდგენის შემდეგ ფუნქციონირებს ქედა ცენტრალურის აჭარის რადიოს (FM 102.0) გადამცემი სადგური.
13. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების არგინეთის, ღორჯომისა და რიყეთის სატელევიზიო გადამცემ სადგურებს.
14. პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების კირნათის, ქედ-ქედისა და აჭარის აღმართის სატელევიზიო გადამცემ სადგურებს.
15. შექმნილია TOYOTA-ს მარკის ჯიპის მოდელის ავტომობილი.

ტელევიზიის ბალანსზე რიცხული ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა

ა/მ ნომერი	გაწეული მომსახურება	ა/მ მდგომარეობა	GPS
XYX 418	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	არა
GAS 190	ექსპლუატაციაში	სარემონტო	კი
CBC 513	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
TUT 238	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
TUT 298	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17	გაფუჭებულია	არა
CHC 436	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
CHC 364	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
BBC 937	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
BBC 938	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
XSX 340	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
ZOR 187	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17	გაფუჭებული	არა
SSG 554	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
SSG 552	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
SSG 553	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	კი
SSG 494	ექსპლუატაციაში	მუშა მდგომარეობაში	არა
GNA 208	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17	გაფუჭებულია	არა
GNA 209	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17	გაფუჭებულია	არა
ZYZ 873	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17	გაფუჭებულია	არა

BAX 601	გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის 17	გაფუჭებულია	არა
BC-727-BF	ექსპლუატაციაში.	ახალი შეძენილი	კი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
დირექტორი

სოსო სტურუა

11.01.15

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაზა ხალვაშს**

2014 წლის მეოთხე კვარტლის ფინანსური ანგარიში

საბიუჯეტო გეგმის მიხედვით 2014 წლის IV კვარტალში დაგეგმილი იყო 1 290 000ლარის ხარჯვა, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან დაიხარჯა 1 479 057,59 ლარი წინა კვარტლებში აუთვისებელი რესურსების ხარჯზე.

დახარჯული 1 479 057,59 ლარი საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით შეადგენს შემდეგს:

შტატით მომუშავე თანამშრომლების ხელფასი - 253 755,46 ლარი;

შტატით მომუშავე თანამშრომლების პრემია - 12 200 ლარი;

მრჩეველთა საბჭოს და მისი აპარატის მუშაკთა ხელფასი - 34 736,07 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 567 963,19 ლარი;

მივლინება - 30 645,12 ლარი;

ოფისის ხარჯები - 81 642,39 ლარი (საკანცელარიო ნივთების, ჟურნალ-გაზეთების, სამეურნეო საქონელის, კომპიუტერული მარაგების შეძენა, კომუნალური (ელ. ენერჯია და წყალი), ინტერნეტის, სატელეფონო, საფოსტო, დასუფთავების მომსახურების ხარჯები, თბილისის ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი, შენობის გაყვანილობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯი, გენერატორებისთვის საწვავის შეძენის ხარჯი);

ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 56 021,37 ლარი (საწვავის შეძენის, ავტომობილების მიმდინარე რემონტის და GPS მოწყობილობებით მომსახურების ხარჯი);

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 417 414,99 ლარი (გარე წარმოების პროგრამების შეძენა, დაცვის მომსახურების, თანამგზავრული მაუწყებლობის, პირდაპირი ჩართვების უზრუნველყოფის, საინფორმაციო მომსახურების, ანძების იჯარის, მაკიაჟის და თმის პრეპარატების შეძენის, სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების, ავტომანქანების დაქირავების, სტუდიების განახლების საპროექტო მომსახურების შეძენის, მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით ბაზრის კვლევის მომსახურების შესყიდვის, სატრენინგო მომსახურების, წამყვანთა ჩაცმულობის, სამუშაო სპეც. ტანსაცმლის შეძენის, საახალწლო აქსესუარების შეძენის ხარჯები);

სოციალური უზრუნველყოფა - 11 400 ლარი - თბილისის საკორესპონდენტო ბიუროს განთავისუფლებული თანამშრომლების 2 თვის კომპენსაციის თანხა;

არაფინანსური აქტივები - 13279 ლარი (შეძენილი იქნა 1 ცალი კონდენციონერი - 679 ლარი, 1 ცალი ხმის ჩამწერი პორტატული პულტის კომპლექტი - 4 900 ლარი, 1

ცალი საბურღი დანადგარი - 1300 ლარი, 1 ცალი გენერატორი - 1 600 ლარი, 1 ცალი ლოგო-გენერატორი - 3 900 ლარი, 1 ცალი დასწრების აღრიცხვის სისტემა - 900 ლარი.

2014 წლის მეოთხე კვარტალში ტელევიზიის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა დარიცხულმა შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 84 424,33 ლარი, მათ შორის სასპონსორო მომსახურებიდან 62 884,71 ლარი (ფაქტიურად ჩარიცხულია 29 343,85 ლარი, დებიტორული დავალიანება - 23 049,43 ლარი, წინა კვარტალში წინასწარ ჩარიცხული თანხა, რომელიც დარიცხულია მე-4 კვარტალში - 10 491,43 ლარი), სხვა მომსახურებიდან - 4 872,08 ლარი (ჩარიცხულია 4 872,08 ლარი, დებიტორული დავალიანება - 0 ლარი), ანძების იჯარიდან - 15 824 ლარი (ჩარიცხულია 10146,75 ლარი, წინა კვარტალში წინასწარ ჩარიცხული თანხა, რომელიც დარიცხულია მე-4 კვარტალში - 2443,25 ლარი, დებიტორული დავალიანება - 3234 ლარი), საპროცენტო შემოსავალი - 200,68 ლარი, ბარტერით - 642,86 ლარი. სულ ფაქტიურმა შემოსავლებმა საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხის სახით შეადგინა - 44563,36 ლარი. 31 დეკემბრის მდგომარეობით გაწეული მომსახურების მიხედვით დებიტორული დავალიანება შეადგენს 27 067,43 ლარს. ამასთან, საბანკო ანგარიშზე წინასწარ ჩამორიცხული ანძების იჯარის თანხა შეადგენს 3606,58 ლარს, წინასწარ ჩარიცხული სხვა შემოსავლების თანხა (აუქციონის საგარანტიო) - 406 ლარს. ასევე, ჩამორიცხულია მესამე კვარტლის მდგომარეობით რიცხული დებიტორული დავალიანებიდან - 12 512,15 ლარიდან 11728,15 ლარი. ამასთან, მაუწყებელმა მიიღო გაეროს დაფინანსების ფარგლებში 26125 ლარი.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯი მეოთხე კვარტალში შეადგენს სულ 135 137,38 ლარს, მათ შორის: წარმომადგენლობითი ხარჯები - 1536,76 ლარი, სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (მანქანის საბურავები, სუფლიორის სამართავი პულტი, საწვავის შეძენა გაეროს დაფინანსების ფარგლებში) - 3299,75 ლარი, ბანკის საკომისიო - 133,61 ლარი, შრომის ანაზღაურება - 30750 (მ.შ: თანამშრომელთა პრემია - 8 025 ლარი, ხელფასი გენდერული თანასწორობის ქსელთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში - 2600 ლარი, ხელფასი გაეროს განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - 20125 ლარი), მივლინების ხარჯი - 25 480,84 ლარი (მათ შორის 4498,60 ლარი გაეროს პროექტის ფარგლებში), გადახდილი დღგ - 11856,88 ლარი, არარეზიდენტის მოგების გადასახადი - 243,13 ლარი, პროდიუსინგის ხარჯები (დოკუმენტური ფილმის, მექანიკური სატელევიზიო პროდუქციის შეძენის, ვებ-გვერდის დამზადების) - 33 136 ლარი, ტექნიკური ხარჯები (ავტომანქანის შეძენის, მუშა-სადგურების, არარეზიდენტის საიტიდან ნამზადების შეძენის, რადიოს პროგრამული ლიცენზიის შეძენის) - 28 700,41 ლარი.

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მაუწყებელს საბანკო ანგარიშებზე ერიცხებოდა 59 906,26 ლარი, სულ შემოსულმა თანხამ შეადგინა 86 429,09 ლარი (მათ შორის გაეროს დაფინანსებით 26 125 ლარი), გაწეულმა ხარჯებმა - 135 137,38 ლარი. შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე თანხის ნაშთი შეადგენს 11 197,97 ლარს.

დარიცხული შემოსავლების მიხედვით წლიური გეგმის გადაჭარბების თანხა შეადგენს 18785,74 ლარს.

2014 წლის მეოთხე კვარტალში დადებულია სასპონსორო მომსახურების 5 ხელშეკრულება, მათ შორის 1 ხელშეკრულება სატელევიზიო პროგრამის მომწოდებელთან, ამასთან, მოქმედებდა წინა კვარტლებში დადებული 5 ხელშეკრულება. სულ მოქმედი 10 ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლის მეოთხე კვარტალში გაწეული სასპონსორო მომსახურების თანხა შეადგენს 62 884,71 ლარს.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

დირექტორი

სოსო სტურუა